X-XII კლასები. II ტური/ისტორია

დავალება – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია: *თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. შემოხაზეთ სწორი პასუხის შესაბამისი რომაული ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

1. როგორ მოიხსენიება ხალხი, რომელმაც ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისში გაანადგურა ხეთების სამეფო?

I. ზღვის ხალხები
II. უდაბნოს ხალხები
III. მთის ხალხები
IV. ტრამალის ხალხები

2. ვინ იყო ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწე ჰანონი?

I. კართაგენელი ზღვაოსანი
II. რომაელი სარდალი
III. ალექსანდრიელი მეცნიერი
IV. ათენელი ორატორი

3. ვინ არის ავტორი პოემისა „ენეიდა“, რომელშიც ტროას დანგრევის შემდეგ გადარჩენილთა თავგადასავალია აღწერილი?

I. ვერგილიუსი
II. ჰორაციუსი
III. კასიუსი
IV. ლეპიდუსი

4. იმპერატორ ტრაიანეს ბრძანებით, ვისზე გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა რომის ფორუმზე 38 მეტრის სიმაღლის მარმარილოს სვეტი?

I. გალებზე
II. ბრიტებზე
III. გერმანელებზე
IV. დაკებზე

5. ვინ ხელმძღვანელობდა XI საუკუნეში იერუსალიმში ჯვრის მონასტრის მშენებლობას?

I. იოანე ლაზი
II. მაკარ მესხი
III. პროხორე ქართველი
IV. ნიკოლოზ დვალი

6. ვინ *<u>არ მოღვაწეობდა</u>* დავით აღმაშენებლის მეფობის დროს?

I. ეფრემ მცირე
II. არსენ იყალთოელი
III. იოანე პეტრიწი
IV. იოანე მთაწმინდელი

7. ვინ მონაწილეობდა მეშვიდე და მერვე ჯვაროსნულ ლაშქრობებში?

I. ფრიდრიხ ბარბაროსა
II. ლუი წმინდა
III. გოტფრიდ ბულონელი
IV. ალექსი კომნენოსი

8. რომელი დინასტიის წარმომადგენლები *<u>არ მეფობდნენ</u>* ინგლისში?

I. პლანტაგენეტების
II. ლანკასტერების
III. იორკების
IV. ჰაბსბურგების

9. რომელი თანამედროვე ქალაქის ადგილზე მდებარეობდა ძველი ქალაქი ტენოჩტიტლანი?

I. ლიმა
II. მეხიკო
III. კარაკასი
IV. ჰავანა

10. ვინ არის ავტორი ნაშრომისა „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“?

I. სულხან-საბა ორბელიანი
II. ვახუშტი ბატონიშვილი
III. ანტონ კათოლიკოსი
IV. ვახტანგ მეექვსე

11. ვინ იყო ცნობილი ზღვაოსანი, რომელიც „უძლეველი არმადის“ განადგურებაში მონაწილეობდა?

I. უილიამ დამპირი
II. ედუარდ ტიჩი
III. ფრენსის დრეიკი
IV. ჰენრი მორგანი

12. რომელი კუნძულის მკვიდრი ხალხი იყო, ევროპელების მისვლამდე, მაორები?

I. მადაგასკარის
II. ახალი ზელანდიის
III. ინდონეზიის
IV. ცეცხლოვანი მიწის

13. რომელ სახელმწიფოს მოიხსენიებდნენ „ბრწყინვალე პორტას“ სახელწოდებით?

I. ბიზანტიას
II. ოსმალეთს
III. რუსეთს
IV. სახალიფოს

14. რა ერქვა ინდიელთა ერთ-ერთ ბელადს, რომელსაც ბრიტანეთის არმიის ბრიგადის გენერლობა მიენიჭა?

I. ჯერონიმო
II. სიტინგბული
III. ტეკუმსე
IV. მაგუა

15. რომელ ომში მონაწილეობდა ნიკო ბაგრატიონი?

I. ესპანეთ-მექსიკის
II. საფრანგეთ-პრუსიის
III. ავსტრია-იტალიის
IV. ინგლის-ბურების

16. ვინ იყო ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების დაწყების ერთ-ერთი ინიციატორი?

I. აკაკი წერეთელი
II. ილია ჭავჭავაძე
III. სერგეი მესხი
IV. დიმიტრი ყიფიანი

17. რომელი ქართველი მეცნიერი იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი?

I. ივანე ჯავახიშვილი
II. კორნელი კეკელიძე
III. ექვთიმე თაყაიშვილი
IV. აკაკი შანიძე

18. რას აღნიშნავდა ძველ რომში „ფასციო“, საიდანაც მოგვიანებით წარმოდგა ტერმინი „ფაშიზმი“?

I. დაფნის გვირგვინს
II. წნელის კონას
III. დიდების მანტიას
IV. მაღალ კვარცხლბეკს

19. ვინ მეთაურობდა გერმანიის სამხედრო შენაერთებს ჩრდილოეთ აფრიკაში 1941-1943 წლებში?

I. ერიხ მანშტეინი
II. გერდ რუნდშტეტი
III. ალბერტ კესელრინგი
IV. ერვინ რომელი

20. ვინ უწოდა სსრკ-ს „ბოროტების იმპერია“?

I. ტეტჩერმა
II. ფრანკომ
III. დე გოლმა
IV. რეიგანმა

21. ვინ წერდა ისტორიულ რომანებს?

I. მერაბ ელიოზიშვილი
II. დავით კლდიაშვილი
III. შოთა ნიშნიანიძე
IV. ვასილ ბარნოვი

II დავალება – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია: *ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები დააფიქსირეთ უჯრებში. პირველ უჯრაში ჩაწერეთ ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა (ან მოღვაწე პირია) აღნიშნული და ა.შ. შესაბამისი თანმიმდევრობით. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

22. ქრონოლოგიურად დაალაგეთ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ისტორიული თხზულებანი მათში აღწერილი ეპოქის მიხედვით:

1. ასწლოვანი მატიანე 2. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე 3. მატიანე ქართლისა

23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპაში მიმდინარე ომები:

1. ოცდაათწლიანი ომი 2. ასწლიანი ომი 3. შვიდწლიანი ომი

24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ნაპოლეონ I-ის ბრძოლები:

1. რივოლი 2. ვაგრამი 3. მარენგო

III დავალება

25. ყურადღებით წაიკითხეთ დოკუმენტი და უპასუხეთ კითხვებს

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი წითელი ტერორის შესახებ
1918 წლის 5 სექტემბერი

სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა რა კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება ამ კომისიის საქმიანობის შესახებ, აუცილებელ საჭიროებად ცნო ზურგის უზრუნველყოფა ტერორის გზით. დროებითი საგანგებო კომისიის მუშაობის გასაძლიერებლად და მასში მეტი გეგმიურობის შესატანად აუცილებელია პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგების გაგზავნა კომისიაში სამუშაოდ. საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა კლასობრივი მტრებისაგან საკონცენტრაციო ბანაკებში მათი იზოლირების გზით. დახვრეტას ექვემდებარება ყველა პირი, რომელსაც კავშირი აქვს თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან, შეთქმულებებსა და აჯანყებებთან. საჭიროა დახვრეტილთა სიების გამოქვეყნება, იმის დასაბუთებით თუ რატომ იქნა მათ წინააღმდეგ გამოყენებული ეს ზომა.

საკუთარი ცოდნისა და დოკუმენტში არსებული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 25.1. რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელშიც შეიქმნა ეს დოკუმენტი?
(1) 25.2. ხელისუფლების რომელ შტოს წარმოადგენდა სახალხო კომისართა საბჭო?
(1) 25.3. რომელი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ სახალხო კომისართა საბჭოს წევრები?
(1) 25.4. მოცემული დოკუმენტის მიხედვით, რატომ მიიჩნია საჭიროდ სახალხო კომისართა საბჭომ ტერორის შემოღება?
(3) 25.5. მოცემული დოკუმენტის მიხედვით, რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა სახალხო კომისართა საბჭო?
(1) 25.6. რომელ ორგანოს დაევალა კონკრეტული ღონისძიებების გატარება?
(1) 25.7. რა იყო თეთრგვარდიელთა მიზანი?
(1) 25.8. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

IV დავალება

26. თქვენს წინაშეა სამი მეფის პორტრეტი და ხუთი ტაძრის ფოტო. თქვენ გევალებათ ამოიცნოთ მეფე და ტაძარი, სადაც ის არის დაკრძალული. 1 ქულას მიიღებთ მეფის ამოცნობაში და კიდევ 1 ქულას თუ სწორად დაწერთ ტაძრის სახელს და ფოტოს ნომერს, რომლითაც ის არის აღნიშნული.

1

2

3

I

II

III

IV

V

№ 1 პორტრეტზე გამოსახულია მეფე ----------, რომელიც დაკრძალულია № ---- ფოტოზე გამოსახულ ---------- ტაძარში // მონასტერში.

№ 2 პორტრეტზე გამოსახულია მეფე ----------, რომელიც დაკრძალულია № ---- ფოტოზე გამოსახულ ---------- ტაძარში // მონასტერში.

№ 3 პორტრეტზე გამოსახულია მეფე ----------, რომელიც დაკრძალულია № ---- ფოტოზე გამოსახულ ---------- ტაძარში // მონასტერში.

ისტორია
პასუხები
II ტური

1. I
2. I
3. I
4. IV
5. III
6. IV
7. II
8. IV
9. II
10. IV
11. III
12. II
13. II
14. III
15. IV
16. I
17. III
18. II
19. IV
20. IV
21. IV

22. 3; 2; 1;
23. 2; 1; 3;
24. 1; 3; 2;

დავალება 25

25.1. რსფსრ // საბჭოთა რუსეთი
25. 2. აღმასრულებელს
25. 3. ბოლშევიკური//კომუნისტური
25.4. ზურგის უზრუნველყოფისთვის//რესპუბლიკის დაცვისთვის//კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად
25.5. პასუხისმგებელი ამხანაგების გაგზავნა საგანგებო კომისიაში სამუშაოდ (1), კლასობრივი მტრების საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირება (1), დახვრეტა (1)
25.6. დროებით საგანგებო კომისიას
25.7. მონარქიის აღდგენა // კომუნისტების (ბოლშევიკების) დამარცხება
25.8. ნებისმიერი ლოგიკური მოსაზრება სათანადო დასაბუთებით, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას

დავალება 26

თუ პასუხი სწორად არ არის გაცემული დავალების პირველ ნაწილზე, ანუ ზუსტად არა არის დასახელებული მეფე, მაშინ შემდგომი პასუხებიც ავტომატურად ფასდება ნული ქულით.

№ 1 პორტრეტზე გამოსახულია მეფე **თეიმურაზ I**, რომელიც დაკრძალულია № I ფოტოზე გამოსახულ **ალავერდის** ტაძარში // მონასტერში.

№ 2 პორტრეტზე გამოსახულია მეფე **ერეკლე II**, რომელიც დაკრძალულია № IV ფოტოზე გამოსახულ **სვეტიცხოვლის** ტაძარში // მონასტერში.

№ 3 პორტრეტზე გამოსახულია მეფე **სოლომონ I**, რომელიც დაკრძალულია № III ფოტოზე გამოსახულ **გელათის** ტაძარში // მონასტერში.